



სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია
სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შესრულების ზოგადი რეგულაციები

1. მაგისტრანტის საკვალიფიკაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს დასრულებულ სამუშაოს, რომელშიც აისახება კურსდამთავრებულის სამეცნიერო-კვლევითი ან სხვა სახის სამუშაოების ინოვაციურ დონეზე ჩატარების უნარი. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვისას მაგისტრანტმა უნდა გამოავლინოს მის მიერ მიღებული შედეგების არგუმენტირებული გადმოცემისა და დისკუსიაში მონაწილეობის უნარი.
2. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოს მიერ შექმნილ **მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის სხდომაზე**, რომლის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი დარგის სპეციალისტები და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი (არა ნაკლებ 5 და არა უმეტეს 7). კომისიის თავმჯდომარეა თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, სადაც ხორციელდება სამაგისტრო პროგრამა. დაცვას უნდა ესწრებოდეს კომისიის შემადგენლობის 2/3 მაინც.
3. დაცვა არის საჯარო. მის მსვლელობასა და შედეგებზე უნდა შედგეს **საბოლოო ოქმი**. კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომის დაცვა. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება კომისიის დახურულ სხდომაზე დაცვის დასრულებისთანავე.
4. კომისიასთან მაგისტრანტის **სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის წარდგენა ხდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნის საფუძველზე**. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი გამოყოფს ორ რეცენზენტს, რომელთაგან ერთი მაინც უნდა იყოს შესაბამისი პროფილის სამეცნიერო ხარისხის მქონე სპეციალისტი სხვა ორგანიზაციიდან, ხოლო მეორე - დასაშვებია იყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადგილობრივი აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი/ან და მოწვეული პერსონალი.
5. რეცენზენტი წერილობითი სახით წარუდგენს კომისიას **სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შესახებ რეცენზიას**. რეცენზენტი ვალდებულია მაგისტრანტს გააცნოს თავისი რეცენზია **სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის** დაცვამდე სამი დღით ადრე მაინც. რეცენზენტი ვალდებულია უარყოფითი დასკვნის შესახებ წინასწარ (ათი დღით ადრე მაინც) აცნობოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც გამოყოფს დამატებით რეცენზენტს. ასეთ შემთხვევაში დაცვის პროცედურაში მონაწილეობას მიიღებს სამივე რეცენზენტი.

მუხლი 2 . სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შეფასება

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად (მხოლოდ დასკვნითი შეფასებით) შესაბამისი მეთოდებისა და კრიტერიუმების გამოყენებით.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას **100 ქულა** ნაწილდება შეფასების შემდეგ კრიტერიუმებზე:

1.სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მომზადებას აფასებს სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელი მაქსიმუმ 30 ქულის ფარგლებში შემდეგი კომპონენტებით:

ა) თემის შერჩევის დასაბუთება, მასალის მოძიება, ბიბლიოგრაფიული წყაროების შერჩევა, გეგმის შედგენა - 10 ქულა:

ა.ა) თემის შერჩევა და აქტუალობა დასაბუთებულია, მოძიებულია მდიდარი მასალა, ბიბლიოგრაფიული წყაროები შერჩეულია თემის შესაბამისად, გეგმა შედგენილია ზუსტად და სრულყოფილად - **10-9 ქულა;**

ა.ბ) თემის შერჩევა და აქტუალობა დასაბუთებულია, მასალა მოძიებულია, ბიბლიოგრაფიული წყაროები შერჩეულია თემის შესაბამისად, გეგმა შედგენილია კარგად - **8-7 ქულა;**

ა.გ) თემის შერჩევა დასაბუთებულია ნაწილობრივ, მასალა მოძიებულია, თუმცა არასაკმარისად, ბიბლიოგრაფიული წყაროები შერჩეულია, თუმცა საჭიროებს სისტემატიზირებას და დახვეწას. გეგმა შედგენილია დამაკმაყოფილებლად - **6-5 ქულა;**

ა.დ) თემის შერჩევა დასაბუთებულია ნაწილობრივ, მასალა მოძიებულია, თუმცა არასაკმარისად, ბიბლიოგრაფიული წყაროები შერჩეულია, თუმცა საჭიროებს სისტემატიზირებას, სრულყოფასა და დახვეწას. გეგმა ზოგადი, მოკლე და არა თამნიმდევრულია - **4-3 ქულა;**

ა.ე) თემა შეარჩია, თუმცა არ არის დასაბუთებული არჩევანი, მწირი რაოდენობის მასალის მოძიება შეძლო, ბიბლიოგრაფიული წყაროებიც მწირია, გეგმას არ აქვს 1 ან 2 კომპონენტები (არასრულყოფილია) – **2-1 ქულა;**

ა.ვ) თემის შერჩევა არ არის დასაბუთებული, მასალის მოძიება ვერ მოახერხა, ძირითადი ბიბლიოგრაფიული წყაროები ვერ შეარჩია, გეგმის შედგენა ვერ შეძლო - **0 ქულა;**

ბ) შერჩეული ბიბლიოგრაფიის (ფაქტობრივი, პრეცედენტული და სტატისტიკური მასალის) შესწავლა და მათზე მოკლე ანოტაციების შედგენა - 5 ქულა:

ბ.ა) სტუდენტს ზედმიწევნით კარგად აქვს შესწავლილი შერჩეული ბიბლიოგრაფია (ფაქტობრივი, პრეცედენტული და სტატისტიკური მასალა) და სწორად და შინაარსობრივად კარგად აქვს შედგენილი მათზე მოკლე ანოტაციები - **5 ქულა;**

ბ.ბ) სტუდენტს კარგად აქვს შესწავლილი შერჩეული ბიბლიოგრაფია (ფაქტობრივი, პრეცედენტული და სტატისტიკური მასალა) და აზრობრივად დალაგებული აქვს მოკლე ანოტაციები - **4 ქულა;**

ბ.გ) სტუდენტს ნაწილობრივ აქვს შესწავლილი შერჩეული ბიბლიოგრაფია (ფაქტობრივი, პრეცედენტული და სტატისტიკური მასალა) და შედგენილი აქვს მათზე მოკლე ანოტაციები, რომლებიც საჭიროებენ დახვეწას - **3 ქულა;**

ბ.დ) სტუდენტს მხოლოდ რამდენიმე წყარო აქვს შესწავლილი შერჩეული ბიბლიოგრაფიიდან (მხოლოდ ფაქტობრივი მასალა ან მხოლოდ 1-2 პრეცედენტი) და შედგენილი ანოტაციები დასალაგებელია აზრობრივად - **2 ქულა;**

ბ.ე) სტუდენტს მხოლოდ 1 წყარო აქვს შესწავლილი შერჩეული ბიბლიოგრაფიიდან (მხოლოდ სტატისტიკური მასალა ან მხოლოდ 1 პრეცედენტი) და ანოტაციები ვერ წარმოადგინა - **1 ქულა;**

ბ.ვ) სტუდენტს არცერთი ფაქტობრივი, პრეცედენტული ან/და სტატისტიკური მასალა არ აქვს შესწავლილი - **0 ქულა**;

გ) ნაშრომის ტექსტური ვარიანტის დაწერა/აპრობაცია/ძირითადი თეზისების ფორმულირება - 15 ქულა:

გ.ა) ნაშრომის ტექსტური ვარიანტი სტუდენტმა დაწერა ძალიან კარგად/აპრობაციას ახდენს /ძირითადი თეზისები სრულყოფილადაა ფორმულირებული და წარმოდგენილი - **15-14 ქულა**;

გ.ბ) ნაშრომის ტექსტური ვარიანტი სტუდენტმა დაწერა კარგად/აპრობაციას ახდენს /ძირითადი თეზისები ფორმულირებული და წარმოდგენილია - **13-12 ქულა**;

გ.გ) ნაშრომის ტექსტური ვარიანტი სტუდენტმა დაწერა დამაკმაყოფილებლად/ აპრობაციას ახდენს /ძირითადი თეზისები ფორმულირებული და წარმოდგენილია - **11-10 ქულა**;

გ.დ) ნაშრომის ტექსტური ვარიანტი სტუდენტმა დაწერა საკმარისად/აპრობაციას ასრულებს, მაგრამ არადამაჯერებლად/ თეზისების მხოლოდ ნაწილია ფორმულირებული და წარმოდგენილი - **9-8 ქულა**;

გ.ე) ნაშრომის ტექსტური ვარიანტი სტუდენტმა დაწერა, მაგრამ ნაწილობრივ, აღინიშნება 1-2 შეცდომა / აპრობაცია უჭირს/ თეზისების მხოლოდ ნაწილია ფორმულირებული და წარმოდგენილი - **7-6 ქულა**;

გ.ვ) ნაშრომის ტექსტური ვარიანტი სტუდენტმა დაწერა, მაგრამ ნაწილობრივ, აღინიშნება არსებითი შეცდომა/შეცდომები / აპრობაცია უჭირს/ თეზისების მცირე ნაწილია ფორმულირებული და წარმოდგენილი - **5-4 ქულა**;

გ.ზ) ნაშრომის ტექსტური ვარიანტი საჭიროებს დამუშავებას/ აპრობაცია უძნელდება/ თეზისების მხოლოდ მცირე ნაწილია ფორმულირებული და წარმოდგენილი - **3-2 ქულა**;

გ.თ) ნაშრომის ტექსტური ვარიანტი სუსტია და საჭიროებს არსებით გადამუშავებას/აპრობაცია არ შეუძლია/ძირითადი თეზისები არ არის ფორმულირებული და წარმოდგენილი - **1 ქულა**;

გ.ი) ნაშრომის ტექსტური ვარიანტი სტუდენტმა ვერ წარმოადგინა, ვერ დაწერა, ძირითადი თეზისები ვერ ჩამოაყალიბა - **0 ქულა**.

2. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შეფასებას ახორციელებს სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ორი რეცენზენტი ცალ-ცალკე, ერთი რეცენზენტის შეფასების მაქსიმალური ქულაა - 30 ქულა, მიღებული ორი შეფასებიდან გამოიყვანება გასაშუალებული შეფასება ($X + Y / 2 = ?$; გასაშუალებული შეფასების მეათედი მრგვალდება მთელ რიცხვამდე თუ უდრის 5-ს ან მეტია) შეფასების კრიტერიუმებია:

ა) ფაქტობრივი მასალის ფლობა - მაქსიმუმ 5 ქულა:

ა.ა) სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს ფაქტობრივ მასალას - **5 ქულა**;

ა.ბ) სტუდენტი კარგად ფლობს ფაქტობრივ მასალას-**4 ქულა**;

ა.გ) სტუდენტი ფლობს ფაქტობრივი მასალის დიდ ნაწილს-**3 ქულა**;

ა.დ) სტუდენტი სრულყოფილად ვერ ფლობს ფაქტობრივ მასალას-**2 ქულა**;

ა.ე) სტუდენტი იცნობს ფაქტობრივ მასალას, მაგრამ ვერ გადმოსცემს მის შინაარსს-**1 ქულა**;

ა.ვ) სტუდენტი საერთოდ ვერ ფლობს ფაქტობრივ მასალას - **0 ქულა**.

ბ) გადმოცემის თანმიმდევრობა, არგუმენტაცია - მაქსიმუმ 10 ქულა:

ბ.ა) გადმოცემის თანმიმდევრულობა ლოგიკური და გასაგებია, არგუმენტაცია ძალიან კარგად არის წარმოდგენილი - **10-9 ქულა**;

ბ.ბ) გადმოცემის თანმიმდევრულობა გასაგებია, არგუმენტაცია კარგად არის წარმოდგენილი - **8-7**

ქულა:

ბ.გ) გადმოცემის თანმიმდევრობა დამაბნეველია, თუმცა არგუმენტაცია ყოველ წამოჭრილ კონკრეტულ საკითხზე კარგია - **6-5 ქულა;**

ბ.დ) გადმოცემის თანმიმდევრობა არალოგიკურია, არგუმენტაცია სუსტია - **4-3 ქულა;**

ბ.ე) გადმოცემის თანმიმდევრობა ბუნდოვანია და არალოგიკურია, არგუმენტაცია არადადამაჯერებელი და სუსტია - **2-1 ქულა;**

ბ.ვ) გადმოცემის თანმიმდევრობა, არგუმენტაცია არ არის დაცული - **0 ქულა;**

გ) კვლევისა და ანალიზის უნარი, სამეცნიერო სიახლე - მაქსიმუმ 10 ქულა:

გ.ა) სტუდენტმა თემაზე მუშაობის პროცესში გამოიმუშავა კვლევისა და ანალიზის უნარი, ნაშრომს ახასიათებს სამეცნიერო სიახლე და აქტუალობა ან/და პრაქტიკული ღირებულება - **10-9 ქულა;**

გ.ბ) სტუდენტმა თემაზე მუშაობის პროცესში გამოიმუშავა კვლევისა და ანალიზის უნარი, თუმცა საჭიროებს ხელმძღვანელის მეთვალყურეობას, ნაშრომს ახასიათებს სამეცნიერო სიახლე და აქტუალობა ან/და პრაქტიკული ღირებულება - **8-7 ქულა;**

გ.გ) სტუდენტს არ გააჩნია კვლევის უნარი, თუმცა ავლენს ანალიზის უნარს, ნაშრომის ახასიათებს სამეცნიერო სიახლე ან/და პრაქტიკული ღირებულება ნაწილობრივ - **6-5 ქულა;**

გ.დ) სტუდენტი ნაწილობრივ ფლობს კვლევისა და ანალიზის უნარებს, ნაშრომს არ ახასიათებს სამეცნიერო სიახლე ან რაიმე პრაქტიკული ღირებულება - **4-3 ქულა;**

გ.ე) სტუდენტს სუსტად აქვს განვითარებული ან საერთოდ არ გააჩნია კვლევის უნარი, ავლენს ანალიზის უნარს სუსტად ან ფრაგმენტულად, ნაშრომს არ ახასიათებს სამეცნიერო სიახლე/პრაქტიკული ღირებულება - **2-1 ქულა;**

გ.ვ) სტუდენტს არ გააჩნია კვლევისა და ანალიზის უნარი, ნაშრომს არ აქვს სამეცნიერო სიახლე/პრაქტიკული ღირებულება - **0 ქულა;**

დ) ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა - მაქსიმუმ 5 ქულა:

დ.ა) ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული მხარე მოწესრიგებულია და დაცულია ყველა მოთხოვნა - **5-4 ქულა;**

დ.ბ) ნაშრომის ტექნიკური მხარე ნაწილობრივ მოუწესრიგებელია, არ არის დაცული ტექნიკური პარამეტრები, სტილისტური და გრამატიკული შეცდომები აღინიშნება მცირედ - **3-2 ქულა;**

დ.გ) ნაშრომის ტექნიკური მხარე გაუმართავია, შეინიშნება სტილისტური და გრამატიკული შეცდომები დიდი რაოდენობით - **1 ქულა;**

დ.ე) ნაშრომი ტექნიკურად, სტილისტურად და გრამატიკულად არ არის გამართული - **0 ქულა.**

3. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის საჯარო დაცვა (პრეზენტაცია) ფასდება მინიმუმ 20 და მაქსიმუმ

40 ქულით. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ შექმნილი მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის სხდომაზე, რომლის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი დარგის სპეციალისტები და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი (არა ნაკლებ 5 და არა უმეტეს 7). კომისიის თავმჯდომარეა ფაკულტეტის დეკანი პროგრამა. დაცვას უნდა ესწრებოდეს კომისიის შემადგენლობის სრული შემადგენლობის 2/3 მაინც. **საჯარო დაცვის (პრეზენტაციის) შეფასების კრიტერიუმები:**

ა) სამაგისტრო ნაშრომის შესაბამისობა მიზნებთან - მაქსიმუმ 15 ქულა:

ა.ა) პრეზენტაციას გააჩნია მიზნები, გადმოსცემს მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას პრეზენტირებულ თემაზე - **15-14 ქულა;**

ა.ბ) პრეზენტაციას გააჩნია მიზნები, გადმოსცემს ინფორმაციას პრეზენტირებულ თემაზე - **13-12 ქულა;**

ა.გ) პრეზენტაციას გააჩნია მიზნები, ნაწილობრივ გადმოსცემს ინფორმაციას პრეზენტირებულ თემაზე - **11-10 ქულა;**

ა.დ) პრეზენტაციის მიზნები დასახულია, თუმცა პრეზენტირებული თემის არსს გადმოსცემს სქემატურად - **9-8 ქულა;**

ა.ე) პრეზენტაციაში მიზანი ისახება ბუნდოვნად, თემა გადმოცემულია, მაგრამ არ არის გამოკვეთილი და სრულფასოვანი - **7-6 ქულა;**

ა.ვ) პრეზენტაციის თემა არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი - **5-4 ქულა;**

ა.ზ) საპრეზენტაციო თემაში გამოტოვებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი და არსებითად განსახილველი საკითხი - **3-2 ქულა;**

ა.თ) პრეზენტაციის თემის უმეტესი ნაწილი არ შეესაბამება პრეზენტაციის მიზნებს - **1 ქულა;**

ა.ი) პრეზენტაცია საერთოდ არ არის წარმოდგენილი - **0 ქულა.**

ბ) პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარე, წყაროების გამოყენება - მაქსიმუმ 10 ქულა:

ბ.ა) პრეზენტაციას გააჩნია სრული მონაცემები, აღინიშნება სხვადასხვა წყაროების დიდი რაოდენობით გამოყენება, მსჯელობა დასაბუთებული და არგუმენტირებულია. მოსაზრებები ნათლად არის წარმოდგენილი - **10-9 ქულა;**

ბ.ბ) თემა სრულად არის გაშუქებული, გამონაკლისის სახით დაშვებულია შეცდომები, მწირია წყაროების გამოყენება - **8-7 ქულა;**

ბ.გ) შეზღუდულია მონაცემები, დასკვნები არ არის გაკეთებული, 1-2 წყაროა გამოყენებული - **6-5 ქულა;**

ბ.დ) მსჯელობა დასაბუთებულია, მაგრამ არგუმენტების საგულისხმო ნაწილი არათანამიმდევრულია - **4-3 ქულა;**

ბ.ე) მსჯელობა ნაწილობრივ დასაბუთებულია, მაგრამ არგუმენტების დიდი ნაწილი არათანამიმდევრული, არალოგიკურია **2-1 ქულა;**

ბ.ვ) სტუდენტი ვერ აყალიბებს აზრს, ვერ გადმოსცემს ნაშრომის შინაარსს - **0 ქულა.**

გ) პრეზენტაციის დიზაინი (გაფორმება) - მაქსიმუმ 10 ქულა:

გ.ა) გაფორმების ყველა პუნქტი დაცულია, პრეზენტაციის ფონი კარგად აღიქმება, სლაიდები პრეზენტაციის თემის შესაბამისია, სლაიდების გაფორმებაში გამოყენებულია სხვადასხვა სახის საშუალებები: ანიმაციები, სურათები და სხვ. ობიექტები - **10-9 ქულა;**

გ.ბ) ვიზუალური მხარე სრულყოფილია, გამოყენებული აქვს მრავალფეროვანი თვალსაჩინოებები - **8-7 ქულა;**

გ.გ) ვიზუალური მხარე ნაწილობრივ მოწესრიგებულია, თვალსაჩინოების გამოყენება ზოგიერთ შემთხვევაში არაადეკვატურია - **6-5 ქულა;**

გ.დ) გაფორმებულია ნაშრომის მხოლოდ პირველი გვერდი, წარმოადგინა თვალსაჩინოებები და ვერ გამოიყენა - **4-3 ქულა;**

- გ.ე) ტიტული არ არის გაფორმებული, არც ერთი პუნქტი არ არის სწორად მითითებული, სლაიდები და გაფორმების სხვა საშუალებები არ არის გამოყენებული - **2-1 ქულა.**

გ.ვ) არ არის მოწესრიგებული ტექნიკური და ვიზუალური მხარე, არ წარმოადგინა თვალსაჩინოებები - **0 ქულა.**

დ)პრეზენტაციის ტექნოლოგია/ კონტაქტი აუდიტორიასთან - მაქსიმუმ 5 ქულა:

დ.ა) კონტაქტი აუდიტორიასთან დამყარებულია და ეფექტურია, მეტყველება სწორი, კარგი და საინტერესოა, აუდიტორიის რეაქცია ადეკვატურია-**5-4 ქულა;**

დ.ბ) კონტაქტი აუდიტორიასთან სუსტია, ხანდახან უინტერესო, პრობლემების წამოჭრა არ ხდება, აუდიტორია განიცდის სირთულეს პრეზენტატორისა და პრეზენტაციის აღქმის პროცესში-**3-2 ქულა;**

დ.გ) კონტაქტი პრეზენტატორსა და აუდიტორიას შორის დაკარგულია, აუდიტორია ვერ აღიქვამს პრეზენტაციას - **1 ქულა.**

დ.ე) პრეზენტაციის ტექნოლოგია/ კონტაქტი აუდიტორიასთან ვერ ხერხდება სტუდენტის მხრიდან - **0 ქულა.**

ქულების მოპოვება სავალდებულოა შეფასების სამივე კრიტერიუმის ფარგლებში.

მუხლი 3. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის საბოლოო შეფასება და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭება

1. სამაგისტრო პროგრამის ყველა კომპონენტების წარმატებით შესრულებისა და სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვისას ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში (**51-100 ქულა**) კურსდამთავრებულს ენიჭება **მაგისტრის აკადემიური ხარისხი** და გაიცემა სათანადო დიპლომი.
2. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის დაცვის დროს ერთ-ერთი უარყოფითი შეფასების: (**FX**) **ვერ ჩააბარა** -ს მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადაამუშავებული სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო უარყოფითი შეფასების- (**F**) **ჩაიჭრა** -ს მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის წარდგენის უფლებას.

მუხლი 4. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის გაფორმება

1. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის უნდა შედგებოდეს:

- **სატიტულო ფურცლისაგან;**
- **ანოტაციისაგან;**
- **სარჩევისაგან;**
- **შესავალი ნაწილისაგან**, რომელშიც მოცემული იქნება შესასწავლი საკითხის აქტუალობა, დასახული მიზანი, გამოყენებული კვლევის მეთოდი, ნაშრომის სტრუქტურის აღწერა;
- **ძირითადი ნაწილისაგან**, რომელშიც, უშუალოდ დასახული მიზნიდან გამომდინარე, განხორციელდება კვლევა და ანალიზი;
- **დასკვნისაგან**, რომელშიც პასუხი გაეცემა შესავალში დასახულ მიზანს და გამოიკვეთება კვლევის შედეგები;
- **ბიბლიოგრაფიისაგან.**

2. სატიტულო ფურცელი წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის პირველ გვერდს და იგი უნდა შეივსოს მკაცრად განსაზღვრული წესის მიხედვით; ზემოთ უნდა მიეთითოს უმაღლესი სასწავლებლის

სრული დასახელება, სადაც სრულდება სამაგისტრო ნაშრომი; შემდეგ უნდა დაიწეროს მაგისტრანტის სახელი და გვარი სრულად სახელობით ბრუნვაში;

შუა ნაწილში იწერება სამაგისტრო ნაშრომის დასახელება 16-იანი ზომის შრიფტით; სათაურის შემდეგ იწერება საკვალიფიკაციო ჩარჩოს ქვესპეციალიზაციის დასახელება, მაგისტრის სამიბელი აკადემიური ხარისხი, რომლის მოსაპოვებლად არის წარდგენილი ნაშრომი დასაცავად. თავფურცელის მარჯვენა მხარეს მიეთითება მეცნიერ-ხელმძღვანელის ინიციალები და გვარი, აკადემიური თანამდებობა/ სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი; ქვემოთ იწერება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ადგილი და მისი წარდგენის წელი.

3. ანოტაცია უნდა შეიცავდეს ავტორის ინიციალებს, გვარს და თემის დასახელებას. ანოტაციის ძირითადი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 150 სიტყვას და უნდა იყოს წარმოდგენილი **ქართულ და ინგლისურ ენებზე**.

4. სარჩევში უნდა აისახოს სამაგისტრო ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა თუ პარაგრაფის დასახელება გვერდების და ნომრის მითითებით.

5. ბიბლიოგრაფიაში უნდა აისახოს მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურისა თუ წყაროების ნუსხა; ზუსტად უნდა მიეთითოს ავტორის გვარი და ინიციალები, ნაშრომის (წიგნის) სახელწოდება, გამოცემის წელი და ადგილი. სამეცნიერო სტატიის დამოწმებისას ზემოაღნიშნული მონაცემების გარდა უნდა მიეთითოს ჟურნალის სახელწოდება, ტომი, ნომერი, საწყისი და ბოლო გვერდები.

6. სამაგისტრო ნაშრომის ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე Sylfaen-ით;

7. შრიფტის ზომა - 12-14; სტრიქონებს შორის მანძილი 1,5 ინტერვალი; ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხენა - 3 სმ, მარჯვენა-1 სმ, ზემოთ- 2,5 სმ, ქვემოთ - 2,5 სმ;

8. ნაშრომის მოცულობა -არანაკლებ 50 და არაუმეტეს 80 გვერდისა.



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

ფაკულტეტის დასახელება

სტუდენტის სახელი, გვარი

სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი

თემის დასახელება

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გვარი,სახელი

სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური თანამდებობა

კომისიის თავმჯდომარე _____

კომისიის წევრები და ხელმოწერა

- 1. _____
- 2. _____
- 3. _____
- 4. _____

კომისიის მდივანი _____

თარიღი: _____
